ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №47

აბაშა, 2021 წლის 6 აგვისტო

2021 წლის 2 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს-საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით აბაშის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო ღონისძიებების ჩასატარებლად შენობა-ნაგებობების გამოყოფის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 45-ე მუხლის მე-6, მე-8, მე-9 პუნქტების შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა:

1. მუნიციპალიტეტის მერიამ წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში ხელი შეუწყოს საარჩევნო სუბიექტებს ამომრჩევლებთან შეხვედრებისა და კრებების, საჯარო დებატებისა და დისკუსიების, შეკრებებისა და მანიფესტაციების ორგანიზებასა და ჩატარებაში, დაიცვას მათი უსაფრთხოება სამართალდამცავი ორგანოების მეშვეობით.
2. მასობრივი საარჩევნო ღონისძიებების გასამართად მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობები უსასყიდლოდ დაეთმოს №63 აბაშის საოლქო საარჩევნო კომისიას.
3. საარჩევნო ღონისძიებების გამართვასთან (წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია)) დაკავშირებით: გამოყოფილ იქნეს ქ. აბაშა, უჩა კაჭარავას ქ. №1-ში მდებარე ა(ა)იპ „ხელოვნებისა და კულტურის ცენტრში“ არსებული სააქტო დარბაზი;
4. საუბნო საარჩევნო კომისიების ფუნქციონირებისათვის განისაზღვროს უბნების მიხედვით შემდეგი შენობა-ნაგებობები:

ა) ქ. აბაშის №63-01 საარჩევნო უბანი – ა(ა)იპ „ხელოვნებისა და კულტურის ცენტრის“ შენობა;
ბ) ნოღოხაშის №63-02 საარჩევნო უბანი – ნოღოხაშის საჯარო სკოლის შენობა;
გ) კვათანის №63-03 საარჩევნო უბანი – კვათანის საჯარო სკოლის შენობა;
დ) გეზათის №63-04 საარჩევნო უბანი – სოფ. გეზათის საჯარო სკოლის შენობა;
ე) ზანათის №63-05 საარჩევნო უბანი – სოფ. ზანათის საჯარო სკოლის შენობა;
ვ) კეთილარის №63-06 საარჩევნო უბანი – სოფ. კეთილარის საჯარო სკოლის შენობა;
ზ) მარნის №63-07 საარჩევნო უბანი – სოფ. მარნის საჯარო სკოლის შენობა;
თ) ნაესაკოვოს №63-08 საარჩევნო უბანი – სოფ. ნაესაკოვოს საჯარო სკოლის შენობა;
ი) ნორიოს №63-09 საარჩევნო უბანი – სოფ. ნორიოს ყოფილი აგროფირმის შენობა;
კ) ონტოფოს №63-10 საარჩევნო უბანი – სოფ. ონტოფოს კულტურის სახლის შენობა;

ლ) პირველი მაისის №63-11 საარჩევნო უბანი – სოფ. პირველი მაისის საჯარო სკოლის შენობა;
მ) სამიქაო-მაიდნის №63-12 საარჩევნო უბანი – სოფ. მაიდნის საჯარო სკოლის შენობა;
ნ) სეფიეთის №63-13 საარჩევნო უბანი – სოფ. სეფიეთის კულტურის ცენტრის შენობა;
ო) სუჯუნის №63-14 საარჩევნო უბანი – **სოფ** სუჯუნის საჯარო სკოლის შენობა;
პ) ეწერის №63-15 საარჩევნო უბანი – სოფ. ეწერის საჯარო სკოლის შენობა;
ჟ) ტყვირის №63-16 საარჩევნო უბანი – სოფ. ტყვირის საჯარო სკოლის შენობა;
რ) ქოლობნის №63-17 საარჩევნო უბანი – სოფ. ქოლობნის საჯარო სკოლის შენობა;
ს) ძველი აბაშის №63-18 საარჩევნო უბანი – სოფ. ძველი აბაშის საჯარო სკოლის შენობა;
ტ) წყემის №63-19 საარჩევნო უბანი – სოფ. წყემის საჯარო სკოლის შენობა;
უ) ნოღოხაშის №63-20 საარჩევნო უბანი – ქ. აბაშის №2 საჯარო სკოლის შენობა;
ფ) ქ. აბაშის №63-21 საარჩევნო უბანი – ქ. აბაშის №1 საჯარო სკოლის შენობა;
ქ) მაცხოვრისკარის №63-22 საარჩევნო უბანი – სოფ. მაცხოვრისკარის საჯარო სკოლის შენობა;
ღ) მარნის №63-23 საარჩევნო უბანი – სოფ. მარნის საბავშვო ბაღის შენობა;
ყ) გაუწყინარის №63-24 საარჩევნო უბანი – სოფ. გაუწყინარის საჯარო სკოლის შენობა.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს სენაკის რაიონულ სასამართლოში მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მისამართი: ქ. სენაკი, რუსთაველის ქ. № 247).
6. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე: მ. კვიტაშვილი